საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 46

22/02/2021

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - „საქპატენტში“ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - „საქპატენტში“ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ეს ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გაცნობისთანავე.

3. საქპატენტის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა თანამშრომლებისათვის.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).
საფუძველი: მოხსენებითი ბარათი N468 17/02/2021წ.

მინდია დავითაძე

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარე

დანართი №1

(განხორციელდა ცვლილება, ბრძანება №166 01.05.23წ.)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - „საქპატენტში“ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში - „საქპატენტში“ (შემდგომ - საქპატენტი) სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესი, მოქმედი კანონმდებლობის, საქპატენტის შრომის შინაგანაწესისა და საქპატენტის მონიტორინგის სამსახური დებულების საფუძველზე, არეგულირებს საქპატენტში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. წესის მიზნები

წესის მიზნებია:

ა) საქპატენტში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;

ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

გ) სექსუალური შემავიწროებლის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;

დ) სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება.

მუხლი 3. წესის მოქმედების ფარგლები

1. წესის მოქმედება ვრცელდება საქპატენტში დასაქმებულ ნებისმიერ პირზე, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა და პოზიციისა.
2. აღნიშნული წესის დარღვევის ადგილად ჩაითვლება ნებისმიერი სივრცე, რომელიც გამოიყენება საქპატენტის საქმიანობის მიზნებისთვის, მათ შორის, საქპატენტის ოფისები და მათი გარეთა სივრცეები, ასევე, შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები, სოციალური ქსელი და საქპატენტის საქმიანობასთან და შესაბამის სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.
3. წესში ასახულ მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა საქპატენტში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის და მათი დარღვევა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.
4. სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს საქპატენტის თანამშრომელმა.

5. სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შესაძლოა იყოს საქპატენტის თანამშრომელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება პირმა საქპატენტის თანამშრომლის სტატუსით განახორციელა.
6. ამ წესის მიზნებისთვის, საქპატენტის თანამშრომლად ჩაითვლება საქპატენტში მომუშავე საშტატო ნუსხით გათვალისწინებული და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი.

მუხლი 4. წესის ძირითადი პრინციპები

ეს წესი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) სექსუალური შევიწროება არის დისკრიმინაციის ფორმა;
ბ) სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური სტატუსის, სამსახურებრივი პოზიციის ან სხვა ნიშნის მიუხედავად;
გ) სექსუალური შევიწროება მსხვერპლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფით ეფექტს ახდენს, მათ შორის, ამცირებს მის სამუშაო პროდუქტიულობას;
დ) საქპატენტში დასაქმებული ნებისმიერი პირი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით განახორციელოს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართული ნებისმიერი განხილვა, კომუნიკაცია თუ ქმედება.

თავი II. სექსუალური შევიწროების ცნება, ფორმები და ინდიკატორები

მუხლი 5. სექსუალური შევიწროების ცნება

1. საქპატენტში აკრძალულია ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება.
2. სექსუალური შევიწროება არის პირის მიმართ მისთვის არასასურველი სექსუალური ხასიათის სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.
3. სექსუალურ შევიწროებას აქვს ორი ფორმა:
ა) მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ.
ბ) მტრული სამუშაო გარემო ანუ სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი პირობების შექმნა.

მუხლი 6. სექსუალური შევიწროების ფორმები

ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, შემდეგ ქმედებებში:

ა) სიტყვიერი

ა.ა) სექსუალური ხასიათის ხუმრობა;

ა.ბ) უხამსი კომენტარი ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის ან პირადი ცხოვრების შესახებ;

ა.გ) კომენტარი ადამიანის სექსუალობის შესახებ;

ა.დ) კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ;

ა.ე) კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების/გემოვნების შესახებ;

ა.ვ) სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება;

ა.ზ) განმეორებით არასასურველი დაპატიჟება პაემანზე.

ბ) არასიტყვიერი

ბ.ა.) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება ან ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით გაგზავნა;

ბ.ბ.) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება;

ბ.გ) სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით;

ბ.დ) პირადი სივრცის დარღვევა/საუბრისას მეორე ადამიანთან ზედმეტად მიახლოება;

ბ.ე) სექსუალური ხასიათის ინტენსიური მზერა;

ბ.ვ) სტვენა.

გ) ფიზიკური

გ.ა) სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, მხარზე ან წელზე და ა. შ.) შეხება;

გ.ბ) ჩახუტება;

გ.გ) ჩქმეტა.

მუხლი 7. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები

სექსუალური შევიწროების ინდიკატორები, მათ შორის, შესაძლოა იყოს:

ა) ქმედების ხასიათი;

ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;

დ) ქმედების ინტენსივობა;

ე) ქმედების განმეორებადობა;

ვ) შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპლზე გავლენა;

ზ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;

თ) შემავიწროებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, მათ შორის, სამსახურეობრივი იერარქია.

თავი III. საჩივრის წარდგენისა და წარმოების დაწყების წესი

მუხლი 8. საჩივრის წარდგენა

1. ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი.
2. თუ მსხვერპლს არ შეუძლია უშუალოდ მიმართოს სავარაუდო შემავიწროებელს, მას შეუძლია, სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრით მიმართოს საქპატენტის თავმჯდომარეს ან საქპატენტის მონიტორინგის სამსახურს. სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საჩივარს წარადგენს ზეპირად ან წერილობით, მათ შორის, ელექტრონული ფორმით. სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში მიუთითებს სავარაუდო შემავიწროებლის სახელსა და გვარს, დაკავებულ თანამდებობას, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების ფაქტებს. არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია საჩივარს თან დაურთოს მტკიცებულებები (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ) ან წარადგინოს აღნიშნული მტკიცებულებები საქმისწარმოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.
3. აკრძალულია პირის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.
4. ამ წესით განსაზღვრული საჩივრის პროცედურის გამოყენებამდე, მისი გამოყენებისას ან გამოყენების შემდეგ, მსხვერპლი არც ერთ ეტაპზე არ არის შეზღუდული, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ მიმართოს სასამართლოს ან/და საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. წარმოების დაწყება

1. საქპატენტის თავმჯდომარისთვის სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, თავმჯდომარე დაუყოვნებლივ მიმართავს მონიტორინგის სამსახურს და კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით ავალებს დისციპლინური წარმოების დაწყებას.

2. საქპატენტის თავმჯდომარის მიერ გაგზავნილი დავალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ დისციპლინურ წარმოებაში.

3. იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს წარადგენს უშუალოდ მონიტორინგის სამსახურში, მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი დაუყოვნებლივ ახორციელებს დისციპლინური წარმოების დაწყებასთან დაკავშირებულ ქმედებებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო შემავიწროებელი არის სავარაუდო მსხვერპლის უშუალო უფროსი, საქპატენტის თავმჯდომარე სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვისა და სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მხარის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების მიმდინარეობისას, ერთ-ერთ მხარეს შეუცვალოს სამუშაო ფუნქციები ან/და სამუშაო სივრცე.

5. სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევაში, არ გამოიყენება საქპატენტის შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადები.

თავი IV. დისციპლინური წარმოება

მუხლი 10. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი სუბიექტი

1. საქპატენტში სექსუალური შევიწროების საქმეებზე დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს მონიტორინგის სამსახური.

2. მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელს, რომელიც განიხილავს სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმეებს გავლილი უნდა ჰქონდეს სექსუალური შევიწროების სპეციალიზაციის კურსი.

3. სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს, საქმის განმხილველი თანამშრომლის მონიტორინგის სამსახურის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლება.
4. მე-3 პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და საქმის განმხილველი სხვა თანამშრომლის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქპატენტის თავმჯდომარე.
5. საქპატენტის თავმჯდომარე, მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი სავარაუდო მსხვერპლი, სავარაუდო შემავიწროებელი და საქმის შესწავლის პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია არ გაასაჯაროვოს მიღებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 11. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირის უფლებამოსილება

1. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირი უფლებამოსილია, მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით:

ა) გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი;

ბ) გამოკითხოს სავარაუდო შემავიწროებელი;

გ) გამოკითხოს მესამე პირები, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) გამოიკვლიოს საქმეში არსებულ ნებისმიერი მტკიცებულება;

ე) გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, მოამზადოს დასკვნა სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

ვ) სექსუალური შევიწროების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად შეწყვიტოს დისციპლინური წარმოება.

2. ობიექტური გარემოებების არსებობისას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი თანამშრომელი უფლებამოსილია სავარაუდო მსხვერპლსა და შემავიწროებელს გაესაუბროს მათთვის სასურველ ადგილას, რომელიც შესაძლოა იყოს საქპატენტის ადმინისტრაციული შენობის გარეთ არსებული ტერიტორია.
3. სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი პირი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობის, საქპატენტის შრომის შინაგანაწესის, საქპატენტის მონიტორინგის სამსახურის დებულებისა და ამ წესის შესაბამისად.

თავი V. საჩივრის განხილვის ვადები და დასკვნის მომზადება

მუხლი 12. საჩივრის განხილვის ვადა

1. სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი ამზადებს დასკვნას დისციპლინური წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

2. თუ დისციპლინური გადაცდომისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, საქპატენტის თავმჯდომარე, სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს 1 თვით გაგრძელების თაობაზე. საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

მუხლი 13. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის მიერ დასკვნის მომზადება

1. სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმის განმხილველი მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი საქპატენტის თავმჯდომარის სახელზე ამზადებს წერილობით დასკვნას სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების ან დაუდასტურებლობის შესახებ. დასკვნას ხელს აწერს მონიტორინგის სამსახურის ის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა საქმის შესწავლას და მონიტორინგის სამსახურის უფროსი.
2. საქპატენტის თავმჯდომარე დასკვნას განიხილავს და შესაბამის აქტს გამოსცემს დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.
3. საქპატენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია, არასაკმარისი დასაბუთების მოტივით, დასკვნა დაუბრუნოს მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს მისი ხელახალი შესწავლის მიზნით. ამ შემთხვევაში, მოქმედებს ამ წესით და საქპატენტის შრომის შინაგანაწესითა განსაზღვრული საქმის წარმოების იგივე პროცედურები.

თავი VI. დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 14. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

1. საქპატენტის თანამშრომლის მიმართ სექსუალური შევიწროების ჩადენა ითვლება ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დარღვევად და დასაქმებულის ან საქპატენტის დისკრედიტაციისაკენ მიმართულ უღირს საქციელად.
2. საქპატენტის თანამშრომლის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის მიერ, საქპატენტის თავმჯდომარე, მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი დისციპლინური ზომის (სახდელის) დაკისრების შესახებ:

ა) საყვედური;

ბ) სასტიკი საყვედური;

გ) თანამდებობრივი სარგოს 10-დან 50 %-მდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

დ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

3. სანქციის სახე დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხსა და რეციდივზე.
4. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სანქციის მხოლოდ ერთი სახე.

5. დასაქმებულის მიმართ, რომელსაც სექსუალური შევიწროების ჩადენისათვის დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი, დაუშვებელია წახალისების რომელიმე ფორმის გამოყენება.
6. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

თავი VII. სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის გაცნობა

მუხლი 15. საქპატენტის თანამშრომელებისათვის წესის გაცნობა

საქპატენტის თანამშრომლებისთვის, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის გაცნობა განხორციელდება საქპატენტის შრომის შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VIII. მრჩეველი სექსუალური შევიწროების საკითხებზე

მუხლი 16. სექსუალური შევიწროების საკითხებზე მრჩევლის შერჩევა და მისი უფლება-მოვალეობები

1. საქპატენტის თავმჯდომარე ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს თანამშრომლებს საქპატენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოდან და იურიდიული დეპარტამენტიდან, რომლებიც შეითავსებენ სექსუალური შევიწროების მრჩევლის ფუნქციას.
2. სექსუალური შევიწროების მრჩევლები შეირჩევიან სექსუალური შევიწროების მიმართ მათი ცოდნისა და მგრძნობელობის გათვალისწინებით.
3. სექსუალური შევიწროების მრჩეველს გავლილი უნდა ჰქონდეს სექსუალური შევიწროების სპეციალიზაციის კურსი.
4. სექსუალური შევიწროების მრჩევლის უფლება-მოვალეობებია:

ა) საქპატენტში სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, თანამშრომლებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შეთავაზება;

ბ) საქპატენტში დასაქმებული პირისათვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევა სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარება;

გ) საქპატენტის თავმჯდომარის დავალებით სხვა ფუნქციების შესრულება, რაც სექსუალური შევიწროების პრევენციასა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება.

IX. მონიტორინგი და შეფასება

მუხლი 17. მონიტორინგი

საქპატენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო ვალდებულია აწარმოოს სტატისტიკა და მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წინამდებარე წესის შესრულების, ინციდენტების რაოდენობისა და დამდგარი შედეგების შესახებ.

მუხლი 18. შეფასება

წლიური ანგარიშით გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, საქპატენტის მონიტორინგის სამსახური აფასებს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის დოკუმენტის ეფექტურობას და წარუდგენს რეკომენდაციებს საქპატენტის თავმჯდომარეს წინამდებარე წესში ცვლილების განხორციელების შესახებ.

თავი X. სხვა დებულებები

მუხლი 19. წესის დამტკიცება

სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების წესს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქპატენტის თავმჯდომარე, რომელიც ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე.

მუხლი 20. საქპატენტის თანამშრომელთა გადამზადება და სპეციალიზაცია

საქპატენტი უზრუნველყოფს სექსუალური შევიწროების საკითხებზე მრჩევლების და მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლი(ებ)ს გადამზადებას სექსუალური შევიწროების სპეციალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 21. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ შრომის შინაგანაწესისა და ამ წესის ურთიერთმიმართება

სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლისას, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის რეგულირებული ამ წესით, გამოიყენება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტურალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ შრომის შინაგანაწესით დადგენილი დებულებები.